სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/161

ქ. თბილისი

26 ოქტომბერი 2021 წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის სტრუქტურული რეორგანიზაციის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის –საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2021 წლის 30 ივნისის ერთობლივი სხდომის #01-05-17/08 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური დეპარტამენტის დებულების“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის, არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის 2021 წლის 9 ოქტომბრის საბჭოს სხდომის №8 ოქმის, დეკანის, პროფესორ ნინო იმნაძის სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2021 წლის 26 ოქტომბრის №01-05-02/30 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის სტრუქტურული რეორგანიზაციის ფარგლებში განხორციელდეს ცვლილებები და არსებული სამი დეპარტამენტის ბაზაზე ჩამოყალიბდეს ორი დეპარტამენტი:
   ა) არქიტექტურული საფუძვლების, თეორიის და სახვითი ხელოვნების;
   ბ) არქიტექტურის, ურბანისტიკისა და გარემოს დიზაინის.
2. მოწონებული იქნეს ფაკულტეტის სტრუქტურულ რეორგანიზაციასთან დაკავშირებით წარმოდგენილი ცვლილებები ფაკულტეტის საშტატო განრიგში და დებულებაში (დანართი).

3. დადგენილება დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს).

4. წარმომადგენლობით საბჭოზე (სენატი) საკითხის გატანა დაევალოს არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეკანს, პროფესორ ნინო იმნაძეს.

5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**